



КОЛОКОЛЬНЯ ИВАНА ВЕЛИКОГО
В КРЕМЛЕ

ТБИЛИСИ 13 11 73

Куда საქ. სსრ. ტელევიზიის
და რადიომაუწყებლობის
სახელმწიფო კომიტეტი

Кому მუსიკალური გადაცემ
რედაქციას

Индекс предприятия связи и адрес отправителя

ქუთაის. ონიაშვილის 3
შოთა სიჩაშვილი

Индекс предприятия связи места назначения

1020. 15. XI 73

მივესალმებით ტელევიზიის მუშაკთა ღონისძიებას, ქართული ხალხური სიმღერების აღდგენასა და პოპულარიზაციის საქმეში. ცნობილია სიმღერისა და მუსიკის მაგიური ძალა ადამიანის ყოფა-ცხოვრებაში. ქართველისათვის კი, ქართული ხალხური პოლიფონიური სიმღერები, რომელიც უცხოელსაც აჯადოებს.

დიდი მადლობა ქართული ხალხური სიმღერების გადაცემათა მომწყობ-ორგანიზატორებს, თენგიზ ნათაძის მეთაურობით, რომელსაც ძალიან მიმზიდველი წაყვანის უნარი აქვს.

ვისურვებდით ძალიან ხშირად მოგვასმენინოთ საქართველოს ყველა კუთხის ხალხური სიმღერები.

მოვისმინეთ რა ს/წ 12 ნოემბრის გადაცემა, გვსურს გამოვთქვათ ჩვენი შენიშვნა-სურვილი. გადაცემის მიზანი იყო ხალხური სიმღერების აღდგენა-პოპულარიზაცია, დასახული იყო მთელი რიგი ღონისძიებანი. რის განხორციელებას ჩვენი აზრით უნდა დაემატოს შემდეგი.

სიმღერის გავრცელებას მარტო მასწავლებელი, შემსრულებელი და მსმენელი კი არ სჭირდება არამედ სახელმძღვანელოც. მაგალითად: არსებობს რუსული სიმღერების წიგნი, არსებობდა ძველი ქართული საეკლესიო საგალობელთა წიგნი, სადაც შენ ხარ ვენახიც არის. რატომ არ უნდა იყოს ქართული ხალხური სიმღერების წიგნი ტექსტითა და ნოტებით. კაცი მოტივს ადვილად იხსომებს. ტექსტისათვის კი სად წავიდეს?დედას ლევანასთან, ყარალაშვილთან თუ ნანი ბრეგაძესთან?.

მოაწყეთ ტექსტის გადაცემა/პრესით, რადიოთი.

ახალი სიმღერები ახლა ტელევიზიით, კინოფილმებით, რადიოთი ან გრამფირფიტებით ვრცელდება. სხვა ქვეყნებში კი ეწყობა სიმღერებისა და მუსიკის დღეები, ან სიმღერები ქუჩაში, ფესტივალი.

რატომ არ უნდა იყოს სიმღერის დღე ჩვენში? თუ კი არსებობს ყვავილების დღე, მაისის ბოლო კვირა დღეს. დაუმატეთ მას სიმღერაც/კულტურისა და დასვენების პარკებში, ბაღებში, სკოლებში, დაწესებულებებში, სტადიონებზე.

ყველაფერ ამს კი სჭირდება ენთუზიაზმი და წამახალისებელი ღონისძიება რომელიც ეწყობოდა წინათ, ასეთი იყო რაიონული, საქალაქო და რესპუბლიკური ხალხური თვითშემოქმედების ოლიმპიადები, რომელიც ხელს უწყობდა სიმღერის

პოპულარიზაციას,ახლის შექმნას და გავრცელებას.იზიდავდა ახალ-ახალ ძალებს ახალგაზრდობიდან.მისთვის მახსოვს ბავშობაში მთელი წელი ვემზადებოდით გულისფანცქალით.

გვიპასუხეთ რატომ აღარ ტარდება ასეთი ღონისძიება და ან ვინ იყო მისი ორგანიზატორი.

[redacted]